ცნობის ფურცელი

№ 2197 ოთხშაბათი, 2 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2197

გაზეთი ღირს: წელიწადში —6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 37 და წ. კ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

სამკურნალო დ. ა. გედევანიშვილისა

გადავიდა

ნიკოლოზის ქუჩიდან ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე სახლი აბრამოვისა, № 9.—მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (Великокняжеская ул., д. № 9, а съ Михайлов. ул. д. № 34 Б.

სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრავატით. (2—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა).

სამკურნალოს აქვს ორი საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: ტფილ., ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

რადგან კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება. (5—2)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსიაა პირველ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან შვიდისა და რვა წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებსა და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება ოცდახუთ მარიამობისთვემდე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას წლოვანების, თავად-აზნაურობისა და ყვავილის აცრის მოწმობანი. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 აგვისტოსთვის. ხელმეორედ გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს. (3—უ—2)

საზღვარ-გარედ

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთის პირველი მინისტრი სელი იძულებული იყო სამსახურიდან გადამდგარიყო. იმის მაგიერ იმპერატორმა ხორვატიის მთავარ-მართებელს კუენ ჰედერვარის მიანდო სამინისტროს შედგენა... მთელი ხორვატია აღელდა, აჯანყდა და დღესაც არ დაწყნარებულა; ხორვატები უმთავრესად თავიანთ მთავარ-მართებელს ჰედერვარის უჩიოდნენ: იმისმა სასტიკმა, შეუბრალებელმა და დაუდევარმა მმართველობამ მიწის პირად გაასწორა ხორვატია. ეგონათ, რომ ჰედერვარის უსათუოდ გამოსცვლიდნენ, გადააყენებდნენ თავის თანამდებობიდან; მართლაც გადააყენეს... მაგრამ უფრო უმაღლესი თანამდებობაც მისცეს... მთელის უნგრეთის მართვა-გამგეობა ჩააბარეს. ჰედერვარიმ უკან წაიღო სელისაგან წარდგენილი სამხედრო კანონ-პროექტი და ამით ოპოზიციას ობსტრუქციაზე ხელი აღებინა. ამას გარდა ჰედერვარი ოპოზიციას უნგრეთის ეროვნულ მოთხოვნილებათა ასრულებასაც დაჰპირდა. მაგრამ მაინც მთელმა პარლამენტმა არა გულით მიიღო ჰედერვარის პროგრამა და იმისი სიტყვებიც უსიამოვნოდ მოისმინა. უნგრეთის სოციალ-დემოკრატებმა ხომ დიდი მანიფესტაცია მოახდინეს და ჰედერვარის ზიზღი და სიძულილი გამოუცხადეს. სოციალ-დემოკრატები არც გამოიცვლიან აზრს ჰედერვარზე, მაგრამ პარლამენტის უმეტესობას, როგორც ეტყობა, 23 ივნისის სხდომის დროს მოუწონებია ჰედერვარის სიტყვა და ტაშის-ცემითაც დაუჯილდოვებია. ჰედერვარის პარლამენტი დაურწმუნებია, რომ უნგრეთის საქმეს ყოველთვის ბეჯითად თვალს ვადევნებდი და კარგადაც ვიცი უნგრეთის პოლიტიკური ცხოვრებაო. ყოველთვის მინდოდა, რომ მთავრობა მთლად საპარლამენტო მოღვაწეებისაგან შემდგარიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აზრი ამ ჟამად ვერ განხორციელდაო.

საინტერესოა, რომ უნგრეთის პატრიოტებმა ისიც კი უსაყვედურებიათ ჰედერვარისათვის, რომ ხორვატიის მოძრაობას მალე ვერ მოუღე ბოლოო. მინისტრს მიუგია ამაზე: აქ მოძრაობა სულაც არა ყოფილა ძლიერი, როგორც პრესამ გააზვიადაო. ამას გარდა ზოგს ეჭვი ჰქონია, ვაი თუ ჰედერვარიმ პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოსო, მაგრამ ჰედერვარის პარლამენტი დაუმშვიდებია და დაჰპირებია: იმედი მაქვს, საქმეს მშვიდობიანად უშველო და ახალი არჩევნები არ დამჭირდესო. დასასრულ ჰედერვარის უთქვამს: უსათუოდ ბოლო უნდა მოვუღოთ საპარლამენტო კრიზისს და სისტემატიურად, წესიერად ვიმუშაოთო.

როგორც ზევითაც ვსთქვით, თითქმის მთელს პარლამენტს მოუწონებია ჰედერვარის სიტყვა.

◆ ავსტრიის პირველ მინისტრსაც კინაღამ ბოლო არ მოუღო ჩეხების ობსტრუქციამ, მაგრამ მოხერხებული კერბერი აქაც მშვიდობიანად გადარჩა და თავისი ადგილი შეინარჩუნა. სამინისტროც ისევ ძველი დარჩა, მხოლოდ ჩეხის საქმეთა მინისტრი რეზეკე იმსხვერპლა ამ კრიზისმა. ამ ჟამად კერბერი სცდილობს, როგორმე მოურიგდეს ჩეხებს, პირველ-მინისტრს მოლაპარაკება დაუწყია გერმანელ პარტიებთან იმის თაობაზე, რომ მორავიაში ერთი ჩეხური უმაღლესი სასწავლებელი გავხსნათო. კერბერს უნდა ამით ჩეხების გული მოიგოს და შემდეგისათვის მაინც ობსტრუქციაზე ხელი აალებინოს.

ამას წინად ჩეხებმა დიდებულ რეფორმატორ იან გუსის ძეგლის საძირკველი ჩაჰყარეს და გუსის ხსენება დიდებულად „იდღესასწაულეს". დღესასწაულის დროს გერმანელების წინააღმდეგ დემონსტრაციაც მოუხდენია ხალხსა.

დეპუტატი გრეგრი თავის სიტყვაში ოცდა-ათ წლის ომის დროის იმპერიასა და ჩეხების ურთიერთობასაც შეჰხებია და, სხვათა

ფელეტონი

„ქართველი ხალხი"

აწერილი არტურ ლეისტისა (das georgische volk geschildert von Artur Leist, Dresden 1903).

III *)

მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლიდანვე საქართველო სულ სხვა გვარ პირობებში სცხოვრობს. განათლების საქმეში და ლიტერატურაში უკვე მე-18-ე საუკუნეში შემოვიდა ევროპიული ელემენტები და ამ გვარად რამდენადმე ნიადაგი ახალი გავლენისათვის უკვე მომზადებული იყო. მაგრამ სწორედ ამ დროს, როცა ევროპიულ კულტურის გაცნობა უფრო ადვილი იყო, ქართველ ხალხის განვითარების ძალებმა თითქოს მიიძინეს და ლიტერატურული შემოქმედება შეჩერდა რამდენიმე ხნით.

„ძველი ფეოდალური სახელმწიფო ქართველებისა დაინგრა და თავად-აზნაურობამაც დაჰკარგა თავისი სამოღვაწეო ასპარეზი. რამდენიმე ათასი კეთილ-შობილი იყვნენ მხოლოდ სამსახურიდან გადაყენებული რაინდები, რომელთაც მეტი აღარა დარჩენოდათ-რა გარდა იმისა, რომ სოფლად თავიანთ მამულებში უსაქმურ და ზარმაც ცხოვრებას მისცემოდნენ. არც ერთ სამოქალაქო მოღვაწეობისათვის ისინი არ ვარგოდნენ, რადგან თვითოეულ მათგანში ჯერ კიდევ რაინდი იჯდა... რამდენსამე თაობას უნდა გაევლო, რომ ძველი ქართველი თან-და-თან გამქრალიყო, ბევრი ძალა და დრო უნდა დახარჯულიყო, რომ ქართველს რაინდობა ხამოფხეკოდა და... აუცილებელ ევროპიულ კულტურისათვის გამოსადეგი გამხდარიყო. დღესაც არ არის დამთავრებული ეს პროცესი... ...რაინდული აუცილებლობა მისთვის (ქართველ აზნაურისათვის) გაუგებარია, მას ჰგონია, რომ იგი მხოლოდ სხვებისათვის არსებობს და არა მისთვის..."

მოკლედ რომ ვსთქვათ, ეგრე ახასიათებს არტურ ლეისტი ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებას რუსების მოსვლის პირველ ხანაში. ავტორი სრულებით არ იხსენიებს სულ სხვა ხასიათის გარემოებათ, რომელნიც ქართველთა ბედის გამოცვლას მოჰყვა. როგორ შეხვდა ქართული საზოგადოება ახალ ბედს, მორჩილებითა და კმაყოფილებით, თუ პროტესტით, ამას ავტორი არც კითხულობს და, რასაკვირველია, არც პასუხს იძლევა. ამიტომაც არტურ ლეისტი არას გვეუბნება იმ ტრაღიკულ მდგომარეობაზე, რომელმაც გამოიწვია მთიულეთის აჯანყება, კახეთისა და, უფრო ნაკლებად, ქართლის თავად-აზნაურობის განდგომა და იმერეთის სასოწარკვეთილი ბრძოლა დამოუკიდებელ არსებობისათვის; არას გვეუბნება არც 30-იან წლების უფრო რომანტიულ შეთქმულებაზე *). ბევრ რამე საინტერესოს თქმა კი შეეძლო პატივცემულ ავტორს!..

ალექსანდრე ჭავჭავაძე „ქალის, ღვინისა და სიმღერის" მგოსანი იყო.

მაგრამ იმ დროს, როცა ჭავჭავაძე ცხოვრების სიამეთა ეტრფოდა და უმღეროდა, „ერთი მაღალ-ნიჭიერი ახალგაზდა შეეხო ქართულ ქნარის სიმებს და ისეთი ხმები გამოაცემინა, რომელიც მის სამშობლოს არასოდეს არ გაუგონია. სევდა, გლოვა და ამ სოფლის სიამეთა უარყოფა ისმოდა მის სიმღერაში და ეს იმ დროს, როცა მისი თანამემამულენი მხოლოდ ლხინსა და ქეიფში იყვნენ გართული. ქართველთა ლენაუს (გერმანელი მგოსანი იყო) სახელად ნიკოლოზ ბარათაშვილი ერქვა...

ქართულ ლიტერატურაში ბარათაშვილი „ბაირონელად" არის ცნობილი და მართლაც ბევრ რამეში ჰგავს დიდებულ ბრიტანელს, როგორც პოეტი და როგორც პიროვნებაც... ბარათაშვილში გრძნობათა დიდი სიმძაფრე იყო და ეს გარემოებაა, რომ შეძლებას აძლევდა პოეტს სევდა და გლოვა ასეთის ძლიერებით გამოეთქვა. სიხარულისა და მხიარულების კვალსაც ვერ იპოვით მის ლექსებში და თუ ლექსში სევდა და გლოვა არ არის, მაინც რაღაც შინაგან სევდიანობის ზეწარი აფარია... ცალიერ სიტყვების რახარუხი მისთვის სრულებით უცხოა, მის ლექსის ყოველ სტრიქონში გამოსჭვირს მშვენიერება, რომელიც არა ქართველისათვისაც საგრძნობელია. ბარათაშვილი ნამდვილი მგოსანია, განგებას მიუნიჭებია მისთვის მნიშვნელობა, რომელიც გადაცილებულია სამშობლო ლიტერატურის საზღვარს".

გიორგი ერისთავამდე საქართველოში არ ყოფილა ლიტერატურული ცხოვრება; პირველად მის ხელმძღვანელობით შეიქმნა იგი: მის მრავალ მხრივმა მოღვაწეობამ გააღვიძა მიძინებული ძალები და შეჰქმნა საძირკველი ახალ ლიტერატურისა.

მესამოცე წლებში დასრულდა ქართული რომანტიკა, მაგრამ გრიგოლ ორბელიანი ყურადღებას არ აქცევდა ახალ მიმართულებას და ამკობდა და adიდებდა გატაცებითა და ნამდვილ პოეტურ ძლიერებით მიმავალ ცხოვრებას.

გრიგოლ ორბელიანი უკანასკნელი რომანტიკოსი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ შორს იყო ამის სიკვდილი, რომ ქართულ პოეზიაში ახალი ხმები გაისმა და გრძნობას, რომელიც აქამდე გაბატონებული იყო, გვერდით ამოუდგა აზრიც. რუსეთის უნივერსიტეტიდან დაბრუნებულ ახალგაზდობას მესამოცე წლებში აღარ აკმაყოფილებდა სიყვარულსა და სიხარულზე ოცნება.

პირველი და უდიდესი წარმომადგენელი ამ თაობისა ილია ჭავჭავაძე არის.

გატაცებული მიეგება ჭავჭავაძე გლეხების განთავისუფლებას და მამაცურად იცავდა გლეხის ადამიანურ უფლებას. სხვა ყოველდღიურ კითხვებსაც ეხებოდა ილია ჭავჭავაძე თავის „საქართველოს მოამბე"-ში და ყოველთვის ჰუმანიურ აზრებს ჰქადაგებდა. ამავე მიმართულებისაა მისი ლექსებიც, მაგრამ ასეთი ტენდენცია პოეზიას არ ჰკლავდა. ჭავჭავაძის პოეზია არ არის ისე ბუნებრივი და ძლიერი, როგორც, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანისა, მაგრამ ენა და მხატვრობა ნამდვილი პოეტურია. რაც არ უნდა აიღოთ თანამედროვე ქართველ ხალხის ცხოვრების განვითარებიდან—ეტიური მხარე იქმნება ეს, თუ ლიტერატურული ან მოქალაქეობრივი, ყოველგან იპოვნით ამ მგოსნის და პუბლიცისტის გავლენის კვალს.

ეს მაღალ-ნიჭიერი და დიდ ცოდნის პატრონი პიროვნება დიდი ხანი იყო ქართველ ხალხის გონებრივ ცხოვრების ტონის მიმცემი. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს დაანება

---

*) იხ. „ცნ. ფურ." № 2194.

*) ბ. ყვირილელს ჰგონია, რომ ამ შეთქმულების მეტი არა მომხდარა-რა მთელ საქართველოში რუსების შემოსვლის შემდეგ. და რაკი უკანასკნელ მის წერილს პასუხი არ გასცეს, ალბად, თავი გამარჯვებული ჰგონია და „თქვა და გაიქცა"-ს კმაყოფილებით იმეორებს გულში. ამისთანა მწერლებია, რომ სხვის უვიცობაზე ყიყინობენ!

შორის, უთქვამს: „ჩვენ, ჩეხებმა, ბევრჯელ გამოვცადეთ, რომ იმპერატორის სიტყვისა და დაპირების იმედი როდი უნდა გვქონდეს. ბელაგორასთან ბრძოლის შემდეგ იმპერატორის ბძანებით ჩეხის ერის შვილები სულ ერთიანად გასწყვიტეს. 1621 წელს 31 ივნისს ჩადენილი ბოროტ-მოქმედება დღევანდლამდე მონანიებული არაა. წამებულ ჩეხთა სისხლი დღევანდლამდე სამაგიეროს გადახდას ღაღადებს“. (ბელაგორასთან ბრძოლაში იმპერატორის ჯარმა ტილლის უფროსობით ჩეხის ჯარი გასრისა; ჩეხის მეფე გაიქცა, იმპერატორის ჯარმა პრაგა აიღო და მთლად გაანადგურა). სალამოთი 3000 კაცი შეყრილა გერმანელების კლუბის წინ და დემონსტრაცია გაუმართავთ. წესიერება მაინც არსად არ დარღვეულა.

ინგლისი. 23 ივნისს ლიბერალ დეპუტატს ლამბერტს დეპუტატთა პალატაში პირველ მინისტრ ბალფურისათვის უკითხავს: რანაირად ემჯობინება, რომ დეპუტატთა პალატამ თავისი სიხარული გამოაცხადოს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ინგლისში მოსვლის გამოო.

ბალფურმა უპასუხა: ერთად-ერთი საშუალება სიხარულის გამოსაცხადებლად ისაა, რომ პალატამ ლუბეს მისასალმებელი ადრესი წარუდგინოსო. ეჭვი არა მაქვს, რომ პალატა ამნაირ ადრესს ერთხმადა და ალტაცებით დაამტკიცებდა (ტაშის-ცემა). მაგრამ პალატა მეტად ფრთხილად უნდა მოიქცეს ამ საქმეში. პალატამ რომ ლუბეს მისასალმებელი ადრესი მიართვას, ეს თითქმის წესად დაიდება: თუ ლონდონში სხვა რომელიმე დიდის სახელმწიფოს წარმომადგენელი მოვა, იმასაც უნდა მიერთოს ამნაირი ადრესი, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე ჩამოგვართმევენ, ვითომ ამ სახელმწიფოს წარმომადგენელს პატივისცემით არ ვეკიდებოდეთ.

◆ ირლანდიის საპარლამენტო დასის მეთაურს ჯონ რედმონდს ეროვნულ კრებაზე ზერნლეიში ულაპარაკნია. რედმონდს უთქვამს:

„სიგიჟე იქნება ვიფიქროთ, ვითომ აგრარიულ საქმის გადაწყვეტა ირლანდიის მთელის ეროვნულ საქმის გადაწყვეტას ჰნიშნავდეს. ეროვნული საქმე საგრარიო კანონმდებლობით, ან სხვა ამნაირ რეფორმით არ გადაწყდება; პირიქით, ამ რეფორმის ასრულება ირლანდიელებს უფრო წაახალისებს და უფრო დიდის მხნეობით მოათხოვნინებს საპარლამენტო თვით-მმართველობას. ინგლისი საზოგადო არჩევნებისათვის ემზადება; ინგლისის პარტიები დახმარებას მოსთხოვენ ინგლისში მცხოვრებ ირლანდიელებს, მაგრამ ირლანდიელებმა უნდა შეიცადონ და თავიანთი ხმები არავის არ აღუთქვან, სანამ თავიანთ მეთაურებისაგან ინსტრუქციას არ მიიღებენ“.

საფრანგეთი. ზოგი გაზეთი ირწმუნებოდა, მალე დრეიფუსის საქმეს ხელ-ახლად გაარჩევენო. ჟორესი „პტი რესპუბლიკ“-ში აცხადებს, რომ გაზეთების ცნობას არაფერი საფუძველი არა აქვსო.

◆ ზომიერ რესპუბლიკელ პარტიის („პროგრესისტების“) მეთაურმა, პირველ მინისტრად ნამყოფმა ჟიულ მელინმა თავი გაანება დეპუტატთა პალატას და სენატში გადავიდა. მელინი ვოგეზის დეპარტამენტში აურჩევიათ სენატორად. მეტოქედ რადიკალი დიუსე ჰყოლია. დიუსეს—300 ხმა მიუღია, მელინს კი 659. ზომიერი რესპუბლიკური გაზეთები ალტაცებით სწარენ მელინის არჩევანზე: ხალხმა ხანგრძლივას პოლიტიკურის ღვაწლისათვის ღირსეულად დააჯილდოვაო. მაგრამ რადიკალური გაზეთები სულ სხვანაირად უცქერიან და ჰხსნიან ამ საქმეს. მელინის სახელი პალატაში ბოლოს დროს ძლიერ დაეცა და ამიტომ მელინიც სენატში გადავიდა, იქ უფრო მოსვენებით იქნებაო.

ახალი ამბავი

◆ ფოთის ქალაქის საბჭომ დაადგინა, გადასდოს ყოველ წლივ 600 მანეთი კავკასიის **სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ**. ეს დადგენილება ადგილობრივმა ქალაქის მოურავმა უკვე აცნობა სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარეს.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას მოხსენება წარუდგინა ტფილისის მცხოვრებმა ეკატირინე ხუდადოვისამ, რომელიც ატყობინებს, რომ ბორჩალოს მაზრაში ჩემს მამულში 60-მდე **წყაროა**, რომელიც შეერთებული კარაბულახზე ჩამოდის და ერთვის მტკვარსო. ხუდადოვის განცხადებით, წყარო ყოველთვის სუფთა, კარგი და სასიამოვნო დასალევია. წყაროები ტფილისიდან 60 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ხუდადოვისა ურჩევს თვით-მმართველობას, ქალაქისათვის წყალი იქიდან გამოიყვანოს. ამ განცხადებას ქალაქის გამგეობა ამ დღეებში განიხილავს.

◆ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა **საზაფხულო კურსებზე** რუსულ ენის სამაგალითო გაკვეთილების ხელმძღვანელად ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი მიუწვევიათ. დროს მოსაგებად მოსწავლენი ორ ჯგუფად გაუყვიათ და ცალცალკე ოთახში აძლევს ორ-ორი მასწავლებელი გაკვეთილებს, ასე რომ ოთხი გაკვეთილი ორ საათში თავდება. ერთსა და იმავე დროს ორ გაკვეთილს აძლევენ მასწავლებელნი, რაც წინანდელ კურსებზე არა ხდებოდა. კურსები ამ თვის ოცში დამთავრდება. შემდეგ მასწავლებელნი მიჰყავთ სოფ. ახტალაში იქაურ ძველ მონასტრის დასათვალიერებლად.

◆ **ფუნიკულერის გასამართავად** სააქციონერო საზოგადოების შედგენა, როგორც ეტყობა, ვერ ხერხდება. 10 ივლისს თავდება ის ვადა, როდემდისაც საზოგადოება უნდა შესდგეს.

◆ ორშაბათს, 30 ივნისს, კრება ჰქონდათ ტფილისის **მოქალაქეთ რწმუნებულებს**. დიდის გაჭირვებით შეიკრიბა 30 რწმუნებულამდე. სხდომა დაიწყო სალამოს $9^1/_2$ საათზე. პირველად კრება შეუდგა წვრილმან საქმეების განხილვას. შემდეგ კრებამ განიხილა იმათი თხოვნები, რომელნიც სთხოვნდნენ მოქალაქეთა საზოგადოებაში მიღებას. რადგან ასეთ თხოვნების განხილვა და დაკმაყოფილება განსაკუთრებულ კომისიასა აქვს მინდობილი, კრებამ დაადგინა ეს თხოვნებიც იმას გადასცეს. შემდეგ კრებას უნდა აერჩია ხარჯის ამკრებ მამასახლისის კანდიდატი. ვიდრე კანდიდატებს დაასახელებდნენ, რწმუნებულებმა გაიდუკოვმა, ტარიელიშვილმა, ქილიაშვილმა და სხვებმა განაცხადეს, რომ ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილებით, ბუდდანოვი პასუხის გებაშია მიცემული და კანონით არჩევნების დროს კრებაზე თავმჯდომარეობას ვერ გასწევსო. ამ განცხადებამ დიდი კამათი გამოიწვია. კრებამ ღამის 12 საათამდე გასტანა, მაგრამ მაინც ვერა გამორკვეულ აზრს ვერ დაადგნენ და რწმუნებულნი დაიშალნენ. ამ სალამოს კრებამ ლაპარაკის მეტი ვერაფერი გააკეთა.

◆ **ქუჩების მომკირწყლელ** კომისიის წევრები შეუდგნენ იმ ქუჩების დათვალიერებას, რომელიც უნდა პირველად მოიკირწლოს. წევრებმა დაათვალიერეს ზოგიერთი განაპირა და შუაგულ ქალაქში მდებარე ქუჩები.

◆ მომავალ სამოსწავლო წლიდან **თითონეთის ორ-კლასიან სასწავლებელში** ორი მასწავლებლის თანამდებობა იხსნება. ერთი უფროსისა, რომელზედაც, ახალ ბრძანების ძალით, უსათუოდ რუსი მასწავლებელი უნდა დაინიშნოს, მეორე უმცროსისა. ამ სასწავლებელში სახელოსნო განყოფილება იყო. ეს განყოფილება გააუქმეს და იმის მასწავლებლის ნაცვლად უმცროსი მასწავლებელი დაინიშნება. უფროს მასწავლებელს წელიწადში 400 მანეთი ექნება, უმცროსს კი—300.

◆ ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში **მისაღები ეგზამენები** დანიშნულია 23 აგვისტოსათვის. ამ ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში ვაკანსიის უქონლობისა გამო არავის მიიღებენ.

◆ „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებდნენ, რომ **„პეტ. ვედ.“ ვ. ვლდიჩკოს ხელში გადადისო**. როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს გაუგია, ხსენებული გაზეთი ველიჩკოს კი არა, პოეტისა და „პრავ. ვესტ.“-ს რედაქტორად ნამყოფის კ. სლუჩევსკის ხელში გადადის თურმე.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის **რწმუნებული ბ-ნ მედვედევი** საზღვარგარეთ წავიდა ბორჯომს. რწმუნებულის თანამდებობას დროებით ასრულებს იმისი თანაშემწე ბ-ნი შიმანოვსკი.

◆ სურამიდან გვატყობინებენ: წელს ძალიან ცოტა მოაგარაკე გვეწვია, რადგან ჯარი აღარ მოსულა საზაფხულოდ, არც დუშეთიდან და აღარც გორიდან. ასე რომ ცარიელზე დარჩნენ როგორც სახლის პატრონები, ისე თავხედი ჩარჩები, რომელთაც გამორჩენის მადა ძალზე ჰქონდათ განვითარებული.

◆ ამას წინად „კავკაზ“-ში წერილი იყო მოთავსებული ქალაქის ხორცის დუქნების წინააღმდეგ. დუქნების გამგემ ალიხანოვმა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს საჩივარი პიართვა და სთხოვა პასუხის გებაში მისცეს **ბეგიჩევი ცილის წამებისათვის**. როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ალიხანოვის საჩივრისა გამო ბრალმდებელს გამომძიებლისათვის მიუნდვია იმის შემოწმება, რამდენად მართალია ბ-ნ ბეგიჩევის წერილში მოთავსებული ცნობები.

◆ დღეისთვის დანიშნულია ტფილისის ქალაქის **საბჭოს კრების** გაგრძელება. სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს დადგენილება გამგეობის და ხმოსან ტიხნიკოსებისა საჰიდრალიკო სადგურის აგების შესახებ, პროექტი სავალდებულო დადგენილებათა კვირა-უქმეებში ვაჭრობის განსაწესრიგებლად და სხვა.

◆ **გორის მაზრიდან გვწერენ**: „ეს რამდენიმე დღეა აქ თავზე ხელ-აღებულთა ბრბო შესდგა. ამ ბრბომ ამას წინად სოფ. ატოციდან სამი ქალი მოიტაცა და მახლობელ ტყეში სამი დღე დაჰყო. ამავე ბრბომ სოფ. ალში მცხოვრებს დავით ჯანოვოშვილს შეუთვალა, ფული გამოგვიგზავ-

---

პუბლიცისტიკას თავი და ეს ასპარეზი უფრო ახალგაზრდებს დაუთმო.

ილია ჭავჭავაძე თავად-აზნაურობის წოდებას ეკუთვნის ჩამომავლობით, მაგრამ ყოველთვის ლიბერალურ და პროგრესიულ აზრების მქადაგებელი იყო. მიუხედავათ ამისა, უფრო ახალგაზრდანი არ ჰპოებდნენ და არ ჰპოებენ მის აზრებს ნამდვილ პროგრესიულად. წინად გურგენიძის „იმედი“ იყო, რომ ებრძოდა ჭავჭავაძის უფრო ზომიერ მიმართულებას. უკანასკნელ დროს დემოკრატიული მიმართულება უფრო გაძლიერდა, განსაკუთრებით „კვალი“ არის მისი წარმომადგენელი.

ლიტერატურისათვის აქამდე დემოკრატიულ ლიტერატურას დიდი არაფერი შეუძენია. მართალია, აქა-იქ ნახავთ კეთილშობილ აზრებიან თხზულებას, მაგრამ ეს უფრო „ნაშრომია“, ვიდრე ხელოვნების ნაწარმოები.

ილიასთან ერთად სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა აკაკი წერეთელიც.

ბევრი ლექსი აქვს აკაკის სხვა-და-სხვა შემთხვევის გამო დაწერილი და ეს ლექსები ნაკლებ ღირსებისაა, მაგრამ ესენი რომ გამოვაკლოთ მის ნაწერებს, მაინც დაგვრჩება კარგა დიდი კრებული ნამდვილ მშვენიერ და გულისა და გონების განმაცოცხლებელ ლექსებისა; აკაკი ამ ლექსებში ნამდვილი მგოსანი და ენის ოსტატია.

ბევრში ჩამოგავს აკაკი წერეთელი ძველი დროის ტრუბადურს. როგორც საშუალო საუკუნოების მგოსნები, აკაკიც პირველად ყოვლისა ლირიკოსია და საგანი მისი ლირიკისა არის ადამიანის გულის ყოველი მოძრაობა სიყვარულიდან და მხიარულებიდან დაწყებული მწუხარებითა და სევდით გათავებული. მისი განუშორებელი თანამგზავრია ბუნებრივი, ნამდვილი ქართული იუმორი; მას თვალი უჭრის და მახვილი ენის პატრონია.

აკაკი დიდი თაყვანისმცემელია შექსპირისა, რომელსაც კარგად იცნობს.

ლირიკულ ლექსებს გარდა აკაკის უწერია ეპოსიც, მაგრამ აქაც უფრო ლირიკაა, რადგან მისთვის სრულებით შეუძლებელია ის მაღალი სიმშვიდე, რომელიც ეპიკოსს აუცილებლად თან უნდა ახლდეს.

არტურ ლეისტი იხსენიებს და მოკლედ ახასიათებს თითქმის ყველა ქართველ მწერლებს, მაგრამ ყველას აქ ვერ მოვიყვანთ, მით უმეტეს, რომ ავტორის აზრი ბევრით არ განისხვავება საზოგადოების მიერ უკვე შედგენილისაგან.

დიდათ აქებს არტურ ლეისტი ვაჟა-ფშაველას, რომელსაც ბუნების საუცხოვო მგოსანს ეძახის და თან ამბობს, რომ ბუნების ასეთი მგოსანი არ ვიცი ეხლა არც ერთ სხვა ლიტერატურაშიო. სხვა ახალ პოეტებში (ვოლსკი, განდეგილი, ევდოშვილი, დუტუ მეგრელი, მახხანელი) ლეისტი ვერ ჰპოებს ვერც აღფრთოვანებას და ვერც ძალას; თითეულ მათგანს დაუწერია რამდენიმე ლამაზი და შინაარსიანი ლექსი, მაგრამ მეტი წილი მათ ნაწარმოებისა არის „გაკეთებული“ ლიტერატურა.

მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ „ქართულ „პოეზიის ჭა“ ამოცლილი იყოს, სრულებითაც არა: პოეზიის სიყვარული სცოცხლობს ხალხში და ახალთაობაში და ეჭვს გარეშეა მეცხრამეტე საუკუნის ბრწყინვალე მგოსნებს მოჰყვებიან ახლები, რომელნიც გაამდიდრებენ სამშობლო ლიტერატურის საუნჯეს. „ქართველი ხალხი მგოსანი ხალხია ამ სიტყვის უკეთილშობილეს აზრით“.

ქართულ ბელეტრისტიკას ისტორია არა აქვს: იგი არ განვითარებულა ბუნებრივად სახალხო სიტყვიერებიდან, არამედ არის შედეგი მიბაძვისა.

პირველი ბელეტრისტები არდაზიანი და რჩეულიშვილი იყვნენ, მაგრამ ნამდვილი დამაარსებელი ქართულ ზნე-ჩვეულების რომანისა იგივე ილია ჭავჭავაძე იყო.

სამოცდაათიან წლებში დაიწყო წერა გიორგი წერეთელმა; როგორც ბელეტრისტი ნაყოფიერი მწერალი იყო გიორგი წერეთელი და ბევრი საინტერესო ტიპებიც დაგვიხატა იმერეთის ცხოვრებიდან, თუმცა მის ნაწერებს აკლია ღრმა ფსიხოლოგიური შემუშავება.

ნიჭიერი, მაგრამ უბედური, ყაზბეგი პირველი ქართველი მწერალი იყო, რომელიც მხოლოდ ხალხის ცხოვრებას ეხებოდა და მას ხატავდა. ის მხარე, რომელსაც ხატავდა ყაზბეგი, თვით ქართველებისთვისაც უცნობი იყო და მდიდარ-ფერადებიანმა მისმა სურათებმა განმაცოცხლებელი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე.

ყაზბეგთან ერთად სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდნენ ნ. ლომოური და ეკ. გაბაშვილისა, რომელნიც ქართლის სოფელს ეხებიან. ლომოურის ალი ხალხის საყვარელი წიგნი შეიქნა. გაბაშვილის სურათები კი ვერ დააკმაყოფილებენ სერიოზულ გემოვნებას, რადგან სანტიმანტალისმით არის გაჟღენთილი, თუმცა გარეგნად რეალისტური ფერმა აქვს; იგი დაწვრილებით გვიამბობს გლეხის შრომასა და გაჭირვებას, მაგრამ მოთხრობას ხელოვნება აკლია; მუდამ მოწადინებულია მკითხველს გული აუჩვილოს და ეს ასუსტებს იმ შესაძლებელ სინამდვილესაც, რომელსაც ავტორი გვიხატავს.

ბელეტრისტებ შორისაც ძლიერად სჩანს აკაკი წერეთელი, რომელიც ლიტერატურის ყოველ დარგის ოსტატია. აკაკი დაბადებით მახვილი მომთხრობელია. არც ერთ ქართველ მწერალში არ არის ისე ძლიერი, ésprit qaulais'ს ასე ახლო ნათესავი ésprit imérétien, როგორც აკაკი წერეთელში.

„რა არ შეეძლო ამ მწერალს რომ თვით-აღზრდა არ აკლდეს! მაგრამ თვით-აღზრდა წინააღმდეგია იმერულ ხასიათისა“.

ახალ ბელეტრისტებ შორის საუკეთესო დავით კლდიაშვილია და თუ მის დებიუტებს მივიღებთ მხედველობაში, მოსალოდნელია, რომ არა ერთ ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს შესძენს სამშობლო ლიტერატურას.

ხალხის ცხოვრება უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ნინოშვილის შემდეგ. არაგვისპირელი პირველ ხანებში ამ მიმართულებისა იყო, მაგრამ ამ ბოლოს დროს მის ესკიზების და ნოველების საგანი უფრო პირადი სულიერი განწყობილებაა.

პრესის საქმე წინ-წინ მიდის საქართველოში, მაგრამ აქამდე ნამდვილი ჟურნალისტი ქართველებს არა ჰყავთ.

—

არტურ ლეისტის წიგნი, რამდენადაც ვიცით, ერთად-ერთია, სადაც თავმოყრილია ცნობები საქართველოს შესახებ და უცხოელ და... ქართველ მკითხველსაც შეუძლია გაეცნოს მოკლედ ამ ქვეყნის წარსულსა და აწმყოს.

ნე, თორემ აგიკლებთო. შეშინებულ ჯანოვაშვილს ცოლ-შვილი სურამში გაუგზავნია და ყველაფერი პოლიციისათვის უცნობებია".

◆ გუშინ, 1 ივლისს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოხდა ტირაჟი ქალაქის მეორე საობლიგაციო სესხისა 22,500 მან. განაღდებულ იქმნა 22,000 მანეთის ობლიგაციები

◆ ყაზახის მაზრაში 26 ივნისს მოუკლავთ სოფ. ხაიდი-ქესამანის მემამულე ნადირ-ბეგ ქესამანსკი. მოუკლავს სამედბეკლუს მცხოვრებს აბდულ-ქერიმ-ამკარ-ოღლის. ქესამანსკი სცემდა თურმე ამკარ-ოღლის, ეს უკანასკნელი თავს იცავდა და ამ დროს შემოაკვდომია მემამულე.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში, 29 ივნისს მტკვარში საბანაოდ ჩასულა ტფილისის მცხოვრები ეკატერინე კალუგინისა, 12 წლის ქალი. მტკვარს ქალი წაუთრევია და დაუხრჩვია. ქალს საშინელი კივილი მოურთავს, მაგრამ ვერავინ მიუშველა, რადგან წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელ საზოგადოების სადგურში დაყენებული სიმონ ბორადინი ამ დროს სხვაგან ყოფილა. დამხრჩვალის გვამი ვერ ჰნახეს.

◆ ტფილისის პირველ ღამის თავშესაფარის გამგემ მ. კლიმიაშვილმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში თავშესაფარის მოქმედების შესახებ ივნისში. თავშესაფარში ყოფილა 1285 მამაკაცი 179 დედა-კაცი, სულ 1464 კაცი. აქედან ქართველი ყოფილა 122 მამა-კაცი და 60 დედა-კაცი, რუსი—511 მამაკაცი და 85 დედაკაცი, სომეხი—604 მამაკაცი და 30 დედაკაცი, პოლონელი—48 და გერმანელი—4.

◆ გვთხოვენ ვაცნობოთ მკითხველებს, რომ ის საქველ-მოქმედო წარმოდგენა, რომელიც გორში 29 ივნისს უნდა გამართულიყო ქ-ნი მ. ყიფიანის და გვასარიას მეთაურობით, გადიდო სხვა დროისათვის. დღე წარმოდგენისა ცალკე იქნება გამოცხადებული. ბილეთებს ძალა არ დაეკარგება.

◆ 29 ივნისს, შუაბაზარში, ბენიამინოვის სასტუმროში ჩამომხტარ დრისა საფრალიევისთვის შორაპნის მაზრის მცხოვრებს ექვთიმე კიკნაძეს მოუპარავს 130 მან. კიკნაძე დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, 27 ივნისს, გაიანე ფარნაკიანცისას უშობია ბავშვი მამრობითის სქესისა. 29 ივნისს ბავშვი უნახავთ ჩამარხული ფარნაკიანცის სახლის ეზოში. მოუწვევიათ ქალაქის უბნის ექიმი და ამოღებულ ბავშვის გვამი შეუმოწმებიათ. ექიმის შემოწმებით, ბავშვი ჯერ მოუკლავთ და შემდეგ ჩაუმარხავთ. პოლიციამ ეს ამბავი შეატყობინა ბრალმდებელს.

◆ 30 ივნისს, პოლიციის მე-5 ნაწილში, გრიგოლ არეშოვის სახლში მზარეულს ნდომებია ცეცხლის ანთება. უცაბედად ცეცხლის ალი იქვე მდგომ ნავთის ბურბელს მოსდებია; უეცრად ავარდნილა ალი და მოჰკიდებია ჭერს და იატაკს. მალე გარეშენი მიჰშველებიან და ცეცხლი ჩაუქრიათ.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ტფილისის მაზრის პატარა თონეთის საზოგადოების მამასახლისად იაგორ ალთუნაშვილი, ხოლო სოფლის საზოგადოების სუდიებად ალ. თოროზოვი, რაჟდენ ხუციშვილი და ნიკოლოზ ჯმუხაძე.

◆ რადგან 500-მდე აბონენტს ტფილისის ტელეფონის სადგურისას დროზედ კუთვნილი გარდასახადი სადგურისათვის არ წარუდგენია, გუშინ სადგურმა ყველა აბონენტს აუკრძალა ტელეფონით სარგებლობა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გამოაქვეყნეს პეტერბურგის თვით-მმართველობისთვის შედგენილი საქალაქო დებულება. ამ დებულების ძალით, არჩევნების უფლება სახლის პატრონებისა და ვაჭრების გარდა ეძლევათ ზოგიერთ ბინის პატრონთაც, სახელდობრ იმათ, რომელნიც წელიწადში 33 მანეთზე ნაკლებ საბინაო გადასახადს არ იხდიან. ამას გარდა ებრაელებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ. ნება არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა აგრეთვე ქალებს. ამათ არჩევნები უნდა მიანდონ თავიანთ მამებს, ქმრებს, შვილებს და სხვა ნათესავებს. საბჭო ირჩევა ექვსის წლით. გამგეობა შესდგება ქალაქის მოურავისა და რვა წევრისაგან. ესენიც ექვსის წლით უნდა აირჩიონ. საბჭოში თავმჯდომარედ ქალაქის მოურავი არ იქმნება, როგორც აქამდე იყო ხოლმე. ამისთვის საბჭომ ერთის წლის ვადით სხვა კაცი უნდა აირჩიოს. ქალაქის მოურავი და იმისი ამხანაგი უმაღლესად უნდა დამტკიცდეს. საბჭო აირჩევს თითო კანდიდატს და შინაგან საქმეთა მინისტრი ამ კანდიდატებს უმაღლესად წარადგენს დასამტკიცებლად.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრო ჰფიქრობს, სოფლად სესხის გაცემის საქმე უკეთ მოაწყოს. სამინისტროს აზრადა აქვს, სესხი გასცეს ხოლმე სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და სამუშაო საქონლის შესაძენად. კერძო გლეხთა და ამხანაგობათა ნაცვლად პასუხის მგებელი ერობა იქნება.

◆ ყირიმის მეღვინეებს შუამდგომლობა აღუძრავთ. თხოულობენ გაუმჯობესდეს ღვინის გადაზიდვის საქმე ყირიმიდან პეტერბურგსა, მოსკოვსა, ვარშავასა, ჩელიაბინსკსა, ტომსკსა, მარიინსკსა, ომსკსა, კრასნოიარსა და ირკუტსკში. სხვათა შორის, თხოულობენ, რომ ღვინო გახურებულ ვაგონებით იგზავნებოდეს, თან კაცი მისდევდეს და თვალყური ეჭიროს, ამასთან გახურებისა და კაცების დასაქირავებელ ხარჯს მეღვინენი კისრულობენ.

◆ ვარშაველ მცხოვრებს, ნევეროვსკის ქალს შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მიეცეს გახსნას პეტერბურგში საქორწინო კანტორა. სამის წლის წინად აღძრული ასეთივე შუამდგომლობა მთავრობამ არ შეიწყნარა. საზღვარ-გარეთ ყველგან არსებობს ასეთი კანტორები.

პრესსა

„ნოვ. ობოზრ."-ში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ გ. ფ. ზდანოვიჩისა შავის ქვის მრეწველთა კრების შესახებ, რომელმაც დაუსრულებელი კამათი გამოიწვია. ამ წერილში ბ-ნი ზდანოვიჩი ეხება იმათ, რომელთაც ყბად აიღეს იგი და რომელნიც წერილებს ათავსებენ იმის წინააღმდეგ. ბ-ნ ქვარიანის ისტორია უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა. ბ-ნ ზდანოვიჩის წინააღმდეგ ქართულ გაზეთში მოთავსებულ წერილების შემდეგ ამ ვაჟბატონმა, როგორც თვით ბ-ნი ზდანოვიჩი სწერს ეხლა, დ. ნ. ბაქრაძის პირით სთხოვა ზდანოვიჩს, „შავის-ქვის" საზოგადოებამ შემწეობა აღმომიჩინოს და ფული მომცესო. „მე უარი შევუთვალე", ამბობს ზდანოვიჩი. ბ-ნ ქვარიანსაც აღარ დაუგვიანებია და ორი ფელეტონი „ბაკუ"-ში მოუთავსებია იმავ ზდანოვიჩის წინააღმდეგ; უკეთეს ამბავს მოგვითხრობს ბ-ნი ზდანოვიჩი. მრეწველთა კრების დამთავრების შემდეგ ბ-ნ ზდანოვიჩს ერთის ჟურნალის რედაქციისაგან შემდეგი წერილი მიუღია.

„მოწყალეო ხელმწიფე! რედაქციამ (ბ-ნი ზდანოვიჩი ჯერ არ ამჟღავნებს ჟურნალის სახელს, მაგრამ სწერს, პირველ საჭიროების დროსვე გამოვაცხადებო) განიზრახა დააკეტინოს შავის ქვის მრეწველთა კრება და თქვენც თანამდებობიდან გადაგაყენოთ. ამას რედაქცია მოახერხებს წერილების შემწეობით. ჩვენ ჟურნალს კითხულობენ ბ-ნნი ფინანსთა და მიწათ-მოქმედების მინისტრები, კითხულობენ აგრეთვე სამთო დეპარტამენტში და სხვაგან, ამას გარდა რედაქტორს დიდი კავშირი და დამოკიდებულება აქვს. თქვენის მხრივ საჭიროა ზომები მიიღოთ განსაცდელის წინააღმდეგ და გადაარჩინოთ როგორც თქვენი თავი, ისე თქვენი კეთილ-მოსურნენი. თუ ყოველ წლივ რედაქციას საიდუმლოდ 2000 მანეთს მისცემთ... საქმე უთუოდ მოეწყობა. დაეჩქარეთ!

ბ-ნ ზდანოვიჩს, რასაკვირველია, ფული არ მიუცია და გაზეთიც შესდგომია იმის წინააღმდეგ წერილების წერას... აი, ასეთი ვაჟბატონები ჰკიცხავენ ზდანოვიჩის მოქმედებას!

გორის მაზრის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება

15—18 ივნისი.

15—18 ივნისს მოხდა ჩვეულებრივი ყრილობა გორის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების წარმომადგენლებისა სასწავლებლის ხარჯის განსახილველად. სასწავლებლის შესანახად სამღვდელოება (170 კრებული) ხარჯავს წელიწადში ათას თუმნამდის. სამღვდელოებისაგან სასწავლებლის მთავრობა ყოველ წლივ თხოულობს პანსიონის გახსნას, რაზედაც ყოველწლივვე უარს იღებს, რადგან დღევანდელ პირობებში სამღვდელოება ძლიერ შევიწროებულია და პანსიონს კი მოუნდება საგარაუდო ხარჯ-აღრიცხვით ერთ დროებით ათასი თუმანი და ყოველ წლივ შვიდასი თუმანი; ამდენ ახალ ხარჯის გაწერა კი სამღვდელოებას არ შეუძლიან.

სამღვდელოებას აქვს გორში კარგა დიდი შენობა მიწით, ორას ოთხკუთხ საჟენამდე, საუკეთესო ადგილზე. შენობა მივიწყებულია და ცოტა შემოსავალს იძლევა. რამე საიმედო წყარო რომ გაიჩინოს შემოსავლისა სასწავლებლის შესანახად, სამღვდელოებამ დაადგინა მიენდოს სამ პირს შუამდგომლობის აღძვრა ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის წინაშე რვა ასი თუმნის სესხის გამოტანისა მამულის გირაოთა და სამღვდელოების პასუხის მგებლობით. ძველი შენობა უნდა დაინგრეს და აშენდეს ახალი მაღაზიებით და სადგომ სახლებით, რაიცა სამღვდელოებას მისცემს თვალსაჩინო შემოსავალს.

ყრილობაზე აღიძრა ერთი საყურადღებო საგანი—დრამის ფულზე გადატანის შესახებ. ვინ არ იცის, რომ სოფლის სამღვდელოება დაქვეითებულია, არავითარი გავლენა იმას აღარა აქვს ხალხზე. ან რა გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხზე იმ მღვდელს, რომელიც იძულებულია ხელში ტომრებითა და ჩანახით მიადგეს გლეხს კარებზე დრამის წასართმევად, თვისით ხომ გლეხი აღარ იძლევა დრამას უმთავრესად სიღარიბისაგამო. მღვდელმაც რა ჰქნას? უმრავლესობას მღვდლებისას ჯერ ისევ ათი-თორმეტი თუმანი აქვს ჯამაგირი წელიწადში, აქედანაც ნახევარი სასულიერო სასწავლებლის შენახვას და სხვა ხარჯებს უნდებ, ამიტომ მღვდელი სცდილობს, თუ ნებით არ მისცა გლეხმა დრამა, პოლიციის შემწეობით გადაახდევინოს ან და, თუ ამითაც ვერას გახდა, უცდის შემთხვევას, „მოასწროს" გლეხს რამე საქმეში და გადაახდევინოს დრამა. გარეშე მაყურებელი და თვით სასულიერო მთავრობაც მღვდლის ამნაირ საქციელს ჰგმობს. ამნაირად მღვდელი მთელ წელიწადს ეომება თავის მრევლს დრამის გამო და ამასთან დამოკიდებულებაში მღვდელმა რა გავლენა უნდა იქონიოს ხალხზე. დრამის საქმის მოწესრიგება უპირველესი საკითხია სამღვდელოებისათვის.

დრამის არსებობას ჩვენში ისტორიული საფუძველიც აქვს. ბ-ნმა ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა („მოამბე" 1901 წ. №№ IX—XI) რუისის ეპარქიის სოფლების სია, შედგენილი 1715 წელს, რომელშიაც აღნიშნულია ზემო ქართლის ყველა სოფელი და რაოდენობა დრამის გადასახადისა სოფლობრივ. 1818 წელს საქართველოს ეგზარხოსმა მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ (რუსანოვმა) შეადგინა „შტატის დებულება", რომელშიაც აღნიშნულია ქართლ-კახეთის ეპარქიის ყოველი მრევლი და რაოდენობა დრამისა. ამ დებულებით, მაგალითად, იტრიის მრევლში გლეხმა უნდა იხადოს მღვდლის სასარგებლოთ: კოდი პური (4—5 ფუთი), ნახევარი კოდი ქერი, ორი ქათამი, ერთი თუნგი ღვინო და ერთი აბაზი. ეს ყველა ახლანდელ ფასობაზე ექვსი მანეთი ღირს. (მაშინ, რასაკვირველია, ამის მეხუთედიც არა ღირდა). რუსეთში კანონთა დებულების ძალით ყოველ კრებულს აქვს მიზომილი 33—99 დესეტინამდე სახნავი მიწა. ამდენი მიწა რომ მოგვცეს, დრამას ახლავე სიამოვნებით გამოვემშვიდობებოდით.

ერთის სიტყვით, უდრამოდ სოფლის სამღვდელოებას არ შეუძლიან ცხოვრება, მაგრამ დრამის აკრების ახლანდელი წესის დატოვება ყოვლად აუტანელია სამღვდელოებისათვისაც და ხალხისთვისაც. ამიტომ სამღვდელოების შეგნებული ნაწილი სცდილობს დრამა ფულზე გადატანილ იქნას და კრებული იღებდეს თვითეულ კომლისაგან წელიწადში სამ მანეთს. ეპისკოპოზის გაბრიელის მეოხებით მთელ დასავლეთ საქართველოში დრამა ფულზე შეცვალა და დღეს იქ ფული (ორი მანეთი კომლზე) იკრიბება ადმინისტრაციის მიერ და ჰბარდება კრებულს. ქართლ-კახეთის ეპარქიაში კი ეს წესი ჯერ არ არის.

გორის მაზრის სამღვდელოების წარმომადგენლებმა ყრილობაზე აღძრეს საკითხი ამ საგანზე და დაადგინეს: ეთხოვოს საქართველოს ეგზარხოსს, იშუამდგომლოს უწ. სინოდის ან, თუ საჭირო იქნება, კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ დრამა გადატანილ იქმნას ფულზე, თვითეულ კომლს მრევლისას, განურჩევლად წოდებისა, ადმინისტრაციამ ახდევინოს სამი მანეთი, ფული შეტანილ უნდა იქმნას ხაზინაში და იქიდან მიეცეს კრებულთ.

ქრ. ც—შვილი.

წერილი ხონიდან

სოფლის მოხელეთა თავგასულობა.—სახელოსნო სკოლა.—ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოებანი.—საზოგადო სასწორზე აწონილ პარკის რაოდენობა.

ხონში მცხოვრებმა გლეხმა მომიტანა თხოვნა, რომელიც გამზადებული ჰქონდა ადგილობრივ ბოქაულისთვის გადასაცემად, და მთხოვა: გადიკითხეთ, ბატონო, შესაძლოა რამე აკლდეს, გთხოვთ ჩაუმატოთ და შემდეგ გადმომიწეროთო". თხოვნა კარგად იყო დაწერილი. შინაარსი შემდეგი იყო: ამადა ამ დღეს, ჩემი შინ არ ყოფნის დროს, ჩემ ნათესავ ობლად დარჩენილ გოგოების სახლში მისულან სოფლის მოხელენი და მოუთხოვნიათ სახელმწიფო ფულის გადასახდა. გოგოებს არ ჰქონიათ ფული, შეჰხვეწნიან მოხელეებს, ცოტა ხანს გვადროვეთ, ვიშოვით და მოგიტანთ კანცელარიაშიო. მოხელეებს ვედრება-მუდარისათვის არ მიუქცევიათ ყურადღება, შესულან სახლში და ხაბაკ-ხუბუკი, რაც-კი გაუჩნდათ საცოდავ ობლებს, სოფლის კანცელარიაში წაუღიათ. წარმოიდგინეთ, მკითხველო, სალოცავი ხატიც არ დაუტოვებიათ ობლებისთვის. ამისათვის გლეხი სთხოვს ბოქაულს, გაეგებინოს—ზემო აღწერილ საქციელის ჩადენის უფლება ჰქონდა სოფლის მოხელეებს თუ არა. შეეძლოთ თუ არა ხატი წაერთმიათ ობლებისთვის? თუ უფლება არა ჰქონდათ და თვითნებობით მოახდინეს, გლეხი სთხოვს ბოქაულს დასაჯოს მოხელენი. გლეხს მოწმებიც ჰყავს იმისა, რომ ობლები თვალ-ცრემლიანნი ეხვეწებოდნენ სოფლის მოხელეებს, მაგრამ იმათ არაფერს არ მიაქციეს ყურადღება. ვნახოთ როგორ გათავდება საქმე!

სახელოსნო სკოლას ერთი საუკეთესო ადგილი და შენობა უჭირავს ხონში. ამ ადგილის შეძენა და სკოლის შენობის აგება ხონლებს რამდენიმე ათი-ათასი დაუჯდათ. სკოლა-კი ხონლებს მაგრე რიგად არ მოსწონთ. „დურგლობის, მჭედლობის, ხუროობის სასწავლებლად სკოლაში არ მივაბარო, სახელოსნოში მივაბარებ და იქაც-კი ისწავლისო!" გაიძახის ხონის მკვიდრთა უმეტესობა. სკოლაში ძალიან ცოტა მოსწავლეა, ამასთან თითქმის ყველანი გარეშე სოფლებიდან და დაბებიდან არიან. თვით სკოლის საქმე რიგიანად არის მოწყობილი. საზოგადო საგნების პროგრამმა ვრცელია, სპეციალური საგნებიც, რაც შეეხება ახლად დაარსებულ სკოლას, კარგად იციან მოსწავლეებმა როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად.

ხონში ამ ჟამად ორი „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება" მოქმედებს და მალე მგონი მესამეც დაარსდეს. მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება უკვე ხელთა აქვთ, საჭიროა მხოლოდ რამდენიმე წევრი იშოვონ, ამოარჩიონ საზოგადოების თავმჯდომარე, იმისი თანაშემწენი და საზოგადოება გამოცხვება! ხონი პატარა დაბაა, ამ დაბაში ერთმა საზოგადოებამ თუ იმოქმედა, ისიც კარგია, თორემ სამი საზოგადოების დაარსება სწორედ რომ ერთმანეთის ხელის შეშლაა. ბევრად უმჯობესი იქნება სამივე საზოგადოება შეერთდეს და ყველა სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეებს ამოუჩინოს დახმარება.

აბრეშუმის პარკის მცირე მოსავალს ნათლად მოწმობს საზოგადო სასწორზე აწონილ პარკის რაოდენობა. წინა წლებში საზოგადო სასწორზე იწონებოდა პარკი არა ნაკლებ 2000—3000 ფუთისა, წელს-კი საზოგადო სასწორზე აიწონა 1200 ფუთი. აქედან ყვითელი პარკი მხოლოდ 150 ფუთი იყო; იგი მომეტებულ ფასში სადდებოდა, ვიდრე თეთრი.

ილია ბახტაძე.

დაბა-სოფლები

სოფ. ბაკურიანი (ქართლი). შარშანდელთან შედარებით წრეულს უფრო მეტი მოაგარაკენი მოვიდნენ აქ. ესენი სულ ახლად მოსულნი არიან, შარშანდელი სამი-ოთხი კომლია მხოლოდ. თუმცა უკვე ორი წელიწადია, რაც ხალხი მოდის საგარაკოდ, მაგრამ ბაკურიანი მაინც მეტად მოუწყობელია. ქუჩები და სახლის ეზოები გაუწმენდავი და გაუსუფთავებელია, არ არის ექიმი და სხვა.

16-დან 23 ივნისამდე გამუდმებით სწვიმდა, რამაც წლეულ მოსულნი მოაგარაკენი კინაღამ დააფრთხო. ამასთან ძლიერაც აცივდა, ასე რომ ბევრი მთელის დღეობით საბანში გახვეული იჯდა შინა და გარეთ არ გამოდიოდა. ზოგმა ფეჩიც დაიდგა. ეხლა გამოიდარა აქაურთა სასიხარულოდ. გასართობი და დროს გასატარებელი აქ არაფერი მოიპოვება. ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას სულ მთლად დაჰვიწყებია თავისი მოვალეობა, რადგან დღევანდლამდის ფოსტის გადატან-გადმოტანა ვერ მოუწყვია (ტელეგრაფიც არ არის). წერილები, გაზეთები და სხვა, ბაკურიანში გამოსაგზავნი, მიდის ბორჯომს, სადაც ჰყრია ორი-სამი დღე და მერე ძლივს ეღირსება ხოლმე ბაკურიანის ხილვა. წერილების გაგზავნა ხომ უფრო ურიგოა: ყოველ ცისმარე დღეს ბაკურიანის სადგურზე შეჰხვდები მოაგარაკეთ, რომელნიც

ელრიჯებიან, ეხვეწებიან და ემუდარებიან კონდუქტორებს წერილების წაღებას; არც მარკები იყიდება სადგურზე და ფულად გადაცემა უხდებათ, რაც თითო წერილის გაგზავნა შვიდ კაპეიკის მაგიერად 9, 10, და ხან მეტადაც ჯდება. ეს კიდევ არაფერი, თუ წერილი შთვიდა დანიშნულებისამებრ. კარგი იქნება, ერთი საფოსტო ყუთი მაინც დაჰკიდონ სადგურზე და მარკები იქონიონ გასასყიდად. ამასთან ფოსტაც ყოველ დღე უნდა მოიტანონ ბაკურიანში. მატარებლის მიმოსვლაც რადაც უცნაურად არის მოწყობილი. ბორჯომსა და ბაკურიანს შუა მატარებლები ძლიერ დინჯად დადიან, ასე რომ 36 ვერსის გავლას 4 საათი უნდება.

25 ივნისს ბაკურიანის სადგურის უფროსის სახლს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი გაჩნდა სამზარეულოდან. ცეცხლი მალე ჩააქრეს. საყურადღებო ის არის, რომ შენობა აუშენებია რკინის გზის ინჟენერს, მაგრამ ისე, რომ არა ინჟენერიც არ ააშენებდა ასე. „შლიტის“ უკანა კედლად დაუტოვებია სახლის კედელი, რომელიც ხისაა, და ამიტომ საშიში ცეცხლის მხრივ. სადგურის უფროსს საგრძნობელი ზარალი მოუვიდა.

ჯაბა სტუმარი.

—

ხოშ. ქისტაური (კახეთი). ეს ის სოფელი გახლავთ, „სადაც შობილა, გაზრდილა და უსრთლია ისარი“ ჩვენს მგოსანს რაფიელ ერისთავს. პოეტმა არ უღალატა სამშობლო ხევსურისას და თავის მამა-პაპათა კუბოს გვერდით განისვენებს, სოფლის თავში, ტყის პირას, საგვარეულო აკლდამაში.

დიახ, აქ აღიზარდა და აქვე დასაფლავდა, მაგრამ სოფლელთ არაფერი იციან. იციან, რომ იმათ რაფიელს დიდ პატივს სცემდნენ, რადგან ლექსებსა სწერდა, მაგრამ თვით ამ ლექსებისა არა გაეგებოდა-რა, რადგან კითხვაც-კი არ იცოდნენ. სოფელში აქამომდე სკოლა არ მოიპოვებოდა და, რასაკვირველია, არც მცხოვრებთ ეცოდინებოდათ წერა-კითხვა. ამ ორის წლის წინად, როგორც იყო, ამ სოფელმა დაიარსა სამრევლო სკოლა. ჯერ დაქირავებულ სახლში მოათავსეს, მერე-კი 1902 წელს თებერვალში შეადგინეს განაჩენი და დაადგინეს სკოლისთვის შენობის აგება. თუმცა მას აქეთ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ შენობა ჯერაც დაუმთავრებელია. მოიჯარადრემ შენობა-კი ააშენა, ახლა სადურგლო აკლია და მუშაობა შეაჩერა, რადგან სოფელი დაპირებულ ფულს არ აბარებს. ეხლა ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია საქართველოს საეპარქიო სასკოლო საბჭოს თელავის განყოფილების თავმჯდომარეს, დეკანოზ მ. ხუდაშვილს და მაზრის უფროსის დახმარებით შესდგომიან ფულის შეგროვებას, ასე რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლის ახალ შენობაში დაწყებას უნდა მოველოდეთ.

—შვილი.

—

ქონდოლი (კახეთი). 22 თიბათვეს წყალდიდობამ კახეთის სხვა სოფლებზე მომეტებულად კონდოლი დააზარალა. მთელი ნახევარი სოფელი დაფარული იყო წყლით—სახლები, ღომურები და გზები გაავსო. ბევრი გულ-ხელ დაკრეფილი დაანარჩუნა, მაგრამ მესამე დღეს რომ ამ სოფელში მისულიყო ვინმე, იტყოდა: „ვინ მოუგონათ ეს ამბები: როგორც ამათ ეტყობათ, რწილიც (უკაცრავად, მკითხველო) არ აჭირვებიათ.“

ასეთი წყალ-დიდობა-კი არა, როგორც 22-ში იყო, თვით წარღვნა ვერ მოაშლევინებთ კახეთის მცხოვრებთ დღეობას და სადილების გამართვას. ვინ მოიფიქრებდა, რომ მცხოვრებნი ამ ამბის მესამე დღეს კვლავინდებურად წვეულებებს გაჰმართავდნენ. ნათლი-მცემლობას ამ სოფლის ეკკლესიამ დღეობა იცის. მცხოვრებთაც ეს უნდათ. მართვენ სადილებს, მოსდიან მოყვარე-ნათესაობა და დროს ატარებენ. ახლა გკითხოთ, რით გამოიხატება იმათი დროს გატარება? რითა და ღვინის სმით, რომლის შედეგი ჩხუბი და ჯოხებით თავ-პირის მტვრევაა ხოლმე. ამ დღეს მცხოვრებთ გამართეს სადილები. სტუმრებიც მოვიდნენ და კმაყოფილნი გაისტუმრეს. მათ შორის შალაურის მცხოვრებთ: გ. გრემელაშვილს და მ. რუსიაშვილს. გზაზე სხვის ეზოზე გადაუვლიათ. გამოჰკვარდნოდა პატრონი, დაუწყო ჩხუბი და ჯოხებით დარეულიყვნენ. მეორე დღეს ურმით ამოიყვანეს თელავში შეწუხებული გრემელაშვილი ექიმთან შესამოწმებლად. წამოჰყოლოდა მთელი ოჯახობა: მანდილოსნის გარდა ორი სახლის კაცი. დალონებული შემომჩივლეს: „რომელი ვინახულოთ, კაცო, თუ ჩვენი საქონლის მოცდენაო, და დასძინეს—ამაზე უხეირო ჩვეულება არა გვაქვს-რა, როგორც ეს დღეობები“-ო. დიახ, თვითონაც კარგად გრძნობენ ზარალს, მაგრამ ყველა კეთილ საქმეს დამწყები და მეთაური უნდა და ჩვენი სოფლები კი მოკლებულნი არიან ამას.

გან—ელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივნისს.

ტამბოვი. მიტროპოლიტი ანტონი და ულდალ-უსმელდელოვსი ინოკენტი საროვში წავიდნენ.

ლონდონი. ლელკასემ ლონდონში მოგზაურობიდან ის შთაბეჭდილება გამოიტანა, რომ ამ მოგზაურობამ დიდი სარგებლობა მოუტანა მშვიდობიანობის საქმეს და მაშასადამე კაცობრიობა საცაათ.

ვენა. გარდაიცვალა საიმპერიო ფინანსთა მინისტრი კალაი.

-- **რომი.** პაპი მთელი დღე ლოგინში იწვა. პაპისაგან მიღებულ კარდინალების აზრით, ავადმყოფ პაპის სახე არა ჰგავს მომაკვდავ კაცის სახეს; ცოცხალი თვალები და წმინდა ხმა აქვს; მეხსიერებაც მშვენიერი აქვს. მკერდი გაუსინჯეს და აღმოაჩნდა, რომ გული და ფილტვი ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც სამის დღის წინად იყო. თირკმლების მუშაობა საკმაოდ კარგი ვერაა. მაჯა 82. ტემპერატურა 36,2.

ბელგრადი. თავის დაბადების დღეს მეფემ ბევრ დიდ სახელმწიფოს მეფეებისაგან დეპეშები მიიღო. სადარბაზო სადილის დროს მეფემ სთქვა: „ჩვენმა გმირმა წინაპრებმა ჩვენს ერს მთელის ქვეყნიერობის პატივისცემა მოუპოვეს და ჩვენს ხალხს, ღვთის შემწეობით, წარსულ დროის იარები მოურჩინეს, ჩვენ ვეცდებით და მოვახერხებთ კიდეც, რომ სერბია ძლიერი, ბედნიერი და კმაყოფილი იყოს.

ათინა. თეოტოკისის მთავრობამ გადაწყვიტეს, რადის კაბინეტს მხარი მიეცეთ.

ტანჟერი. აქ მოსული შიკრიკი ჰმოწმობს, რომ შიდის დღის ბრძოლის შემდეგ სამხედრო მინისტრმა ზენბახიმ თაზე აიღო.

კოვნო. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მე-7 დრაგუნის, მისის უმაღლესობის სახელობის პოლკის 10 წლის იუბილეზე დასასწრებლად მოვიდა აქა.

რიველი. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე კრეისერ „აზია“-თი ჩამოვიდა აქა. ნავთსადგური და ქალაქი დაათვალიერა და მერე ეკატერინენტალის სასახლეში გუბერნატორი ინახულა; ამავე სასახლის აივანზე ყველა მომღერალ საზოგადოებათა სერენადა მოისმინა. მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დღეს წავიდა აქედან.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუბერნატორმა გამოაცხადა სავალდებულო დადგენილება იმის შესახებ, რომ ვინც კი ნიჟნი-ნოვგოროდში მოვა, დაუყოვნებლივ თავისი პასპორტი წარუდგინოს პოლიციასა.

ვარშავა. აქაურ სოფლის-მეურნეთა ჯგუფი დანიასა, ჰოლანდიასა და ოლდენბურგს გაემგზავრა იქაურ სამაგალითო მერძეობის მეურნეობის გასაცნობად.

— „პეტერბ. კურიერ“-ის რედაქტორ-გამომცემელმა ნება-რთვა მიიღო, ვარშავაში პოლონურ ენაზე ყოველ-დღიური გაზეთი გამოსცეს სახელად „გაზეტა დომოვა“.

1 ივლისს

პეტერბურგი. როტმისტრ ულეს გბოძა ოქროს იარაღი წარწერით: „მამაცობისთვის“.

კალიში. კალიშში ნიაღვარი მოვარდა. მშვენიერი პარკი წყლის ქვეშ არის. ქუჩებში ნავით დადიან. ზარალი დიდია.

ბერგენი. მოვიდა გერმანიის იმპერატორი.

რომი. დღეს ექიმები რომ მოვიდნენ, პაპს სთხოვეს და სთქვა, სუსტად ვარ და ნუ შემაწუხებთო. გუშინდლიდან პაპმა ძალიან ცოტა საჭმელი სჭამა. დილის 1 საათზედ და 30 წამზედ პაპის მახლობელთ ძალიან ეშინოდათ და იმედი არა ჰქონდათ, თუ პაპი ამ ღამეს გაატანს.

ბერლინი. იუწყებიან, წყალდიდობამ დიდი ზარალი მოიტანათ. გრეფენბერგში 50 სახლი წაიღო წყალმა, გოლდბერგნში ყველა სახლები დაინგრა, ლანგენბრუკში 32 სახლი დაინგრა და 30 კაცი დაიხრჩო.

ჩიფუ. გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი პორტ-არტურიდან უკან დაბრუნდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 27 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,45
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ მყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	105½ „ (?)
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	436 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს.48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)..

საავადმყოფოები:

—

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა-სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი კლდიაშვილისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბართნისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

იოველიძით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფოს იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დღის 12 მან. გამგე ექიმი ისაისტნოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქჯანიცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

—

ახალი წიგნის მაღაზია
გ. გალუსტოვისა
ქ. ქუთაისში.

ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ დიდი ხანი არ არის, რაც გავხსენი ახალი წიგნის მაღაზია ჩვენსავე წიგნების სამკინძველო ქარხანაში, ქარვასლის ქუჩაზე და გვაქვს სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო წიგნები როგორც რუსული, ისე ქართული, გერმანული, ფრანგული და სხვა.

(2—116—2). გ. გალუსტოვი.

საპედაგოგიო საბჭო ანასტასიას სახელობის
ქალთა პროგიმნაზიისა გორში

აცხადებს, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან არსდება ამ პროგიმნაზიაში მე-V კლასი. მისაღები გამოცდები დანიშნულია 26 აგვისტოსთვის, ხოლო ხელ-ახალი გამოცდები—27 და 28 აგვისტოსათვის.

თხოვნები უნდა გაიგზავნოს სასწავლებლის უფროსის სახელზე. თხოვნასთან უნდა იყოს მოწმობანი დაბადებისა და ყვავილის აცრისა. (3—?—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მთის [illegible] ალექსანდრეს [illegible] ქვეშ.** სამკურნალო'შია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—99)

«წიგ. გამოძც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
ოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ა. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50
მეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფლებისა და ბატონიშვილთა	—	[illegible]
[illegible]	—	25

პროვინციიდან შეკვეთილი წიგნები ფას დადებით გაიგზავნება, ხოლო გარეშე [illegible] წიგნებს ფასის გარდა [illegible] უნდა წარმოადგინონ. [illegible] ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ყველა წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კანტორაში, ბაღის ქუჩაზე.